

კომაროვის ფიზიკის ჩემპიონატის დებულება

მუხლი 1. ჩემპიონატის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ჩემპიონატი იმართება კომაროვის სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეთათვის.
2. ჩემპიონატის მიზანია - მოსწავლეებში ფიზიკის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და სკოლაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა.

მუხლი 2. ჩემპიონატის ჩატარების ფორმატი

1. **ჩემპიონატი შედგება 3 ლიგისაგან:**
მე-7 კლასის ლიგა (მე-7 კლასის მოსწავლეთათვის);
მე-8 კლასის ლიგა (მე-8 კლასის მოსწავლეთათვის);
მე-9 კლასის ლიგა (მე-9 კლასის მოსწავლეთათვის);
2. თითოეული ლიგა მოიცავს 4 ტურს, რომელთაგან პირველი ტური, ამავდროულად წარმოადგენს ჩემპიონატის შესარჩევ ტურს, რის შედეგადაც მონაწილე მოსწავლეები მოიპოვებენ ლიგაში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.
3. **თითოეულ ლიგაში პირველი (შესარჩევი) ტურის შედეგად მომდევნო ტურებში მონაწილეობს საუკეთესო შედეგის მქონე 30 მოსწავლე, აგრეთვე, ის მოსწავლე, რომელსაც ექნება იგივე შედეგი, რაც რეიტინგით 30-ე შედეგის მქონე მოსწავლეს.**

მუხლი 3. მონაწილეები

მე-7 კლასის ლიგის პირველ (შესარჩევ) ტურში დაიშვებიან ის მოსწავლეები, რომელთა ფიზიკის მასწავლებელი საორგანიზაციო საბჭოს წარუდგენს წერილობით არგუმენტირებულ რეკომენდაციას.

მე-8 და მე-9 კლასების ლიგების პირველ (შესარჩევ) ტურში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელმაც 2022-23 სასწავლო წლის ფიზიკის პირველ და მეორე ქვიზში მიიღო ტესტის მაქსიმალური ქულის მინიმუმ 80% (თუ მოსწავლემ ერთი ქვიზი დაწერა, მაშინ იგი დაიშვება თუ ამ ქვიზში მიიღო ტესტის მაქსიმალური ქულის 80%). აგრეთვე, მოსწავლე დაიშვება იმ შემთხვევაშიც, თუ ფიზიკის მასწავლებელი საორგანიზაციო საბჭოს წარუდგენს წერილობით არგუმენტირებულ რეკომენდაციას.

მუხლი 4. ქულის მინიჭებისა და მისი გამოთვლის წესი:

1. თითოეული ლიგის ოთხივე ტურში მოსწავლეებს ენიჭებათ ქულები. ტურების შედეგების დაჯამებისას გათვალისწინებული იქნება პირველი ტურის შედეგებიც.
2. თითოეულ ტურში მოსწავლის ქულა ტოლია - მისი ქულა გამრავლებული 100-ზე და შეფარდებული ამ ტესტის მაქსიმალურ ქულასთან, დამრგვალებული მეათედის სიზუსტით.
3. ჩემპიონატის ფარგლებში 1 უარესი შედეგი უქმდება. ტურის გაცდენაზე მოსწავლეს ეწერება 0 ქულა.
4. ჩემპიონატის ფარგლებში მაქსიმალური ჯამური ქულა არის 300.

მუხლი 5. შედეგების გამოქვეყნება

1. თითოეული ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 1 კვირაში დაიდება პირველადი შედეგები.
2. პირველადი შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 დღეში დაიდება ტურის საბოლოო შედეგები.

მუხლი 6. გამარჯვებულის გამოვლენა და ჯილდოები

1. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცემათ დიპლომები და პრიზები.
2. თითოეულ ლიგაში გამოვლინდება 3 გამარჯვებული: ლიგის ჩემპიონი, მე-2 ადგილოსანი და მე-3 ადგილოსანი.
3. საპრიზო ფონდი:
ჩემპიონს გადაეცემა 300 ლარიანი პრიზი;
მეორეადგილოსანს - 200 ლარიანი პრიზი;
მესამეადგილოსანს - 100 ლარიანი პრიზი.
4. გარდა ჩემპიონატის გამარჯვებულებისა, სკოლის დირექცია უფლებამოსილია, დაადგინოს სხვა პრიზებიც.
 - ✓ თითოეული ლიგაში გამარჯვებული პირველი 3 მოსწავლის მასწავლებელს გადაეცემა ფულადი ჯილდო;
 - ✓ თითოეულ ლიგაში ყველა მოსწავლე, რომლის ჯამური ქულა იქნება 150 ან მეტი, დაჯილდოვდება ან პირველი ხარისხის დიპლომით, ან მეორე ხარისხის დიპლომით, ან მესამე ხარისხის დიპლომით ან საპატიო დიპლომით.
 - ✓ მე-7 კლასის ლიგაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 3 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი. მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 6 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი, მესამე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 10 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი.
 - ✓ მე-8 კლასის ლიგაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 3 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი. მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 6 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი. მესამე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 10 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი.
 - ✓ მე-9 კლასის ლიგაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 3 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი. მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 6 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი. მესამე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება 10 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 150 ან მეტი.

მუხლი 7. თითოეული ლიგის მონაწილისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობები

1. პლაგიატის ნებისმიერ გამოვლენაზე მოსწავლე იხსნება ჩემპიონატიდან და მოქმედებს სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები
2. სკოლის დირექცია უფლებამოსილია ჩემპიონატიდან მოხსნას მოსწავლე სკოლაში დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 8. ჩემპიონატის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ჩემპიონატის ჩატარებას, საორგანიზაციო პროცედურებს, ტურების თარიღებს, ბილეთის სტრუქტურას და ა.შ. - განსაზღვრავს დირექტორის მიერ შექმნილი „კომაროვის ფიზიკის ჩემპიონატის საბჭო“.